საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია — დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

შაბათი ივნისის 11

1921 წ.

№ 88

ფასი 200 მანეთი

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი, კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 5000 მან. ცალი 200 მან.

კვირას, ივნისის 12 ს დღის 11 საათზე

სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის სახლში (ყოფილი ქართული კლუბის შენობა, დამფუძნებელი კრების ქუჩა № 5) დანიშნულია

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებულთა

## საზოგადო კრება

განსახილველი საგნები:

1. გამგეობის მოქმედების 1920 წ. ანგარიში.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება ამ ანგარიშის შესახებ.
3. 1921 წ. შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვა.
4. მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები. 1124

კბილის ექიმმა
**აპოლონ ურუშაძემ**
განაახლა ავადმყოფების მიღება
9—1 ს. და 4—7 ს.
ბებუთოვის ქუჩა 13, ბინა 1. 29

ექიმი
**ნ. ა. არუთინოვი**
სპეციალურად ხიფილისი (914 ⑥ 606) სქესობრივი წყლულება, ვენერიული ხუხუნათი და შეძლება.
ახალი ბებუთოვის ქ. 5, ცეცხლის ქრობის რაზმის ახლო. ავადმყოფების მიღება 10—2 და 5—7 საათ. 946

ქ. ლანჩხუთში.
ექიმი
**ოლღა ხოფერია**
იღებს სპეციალურად ქალთა და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს.
კალისტე ჩაჩავას სახლში. 1047

## კონფერენციის შედეგი

სოც.-ფედ. კონფერენცია გუშინ, ივნისის 9 დასრულდა. დიდი ბრძოლა, დიდი კამათი, დიდი საზოგადოებრივი ყურადღება ახასიათებდა კონფერენციის მუშაობის ეტაპებს, მის სახეობას, მიზნებს.

ჯერ კი მხოლოდ ერთს გარემოებას ვაქცევთ ყურადღებას. მომენტის და მოქმედების შეფასების საკითხში კონფერენციას დაეტყო ორი სასტიკად გარკვეული თვალსაზრისი, რომელსაც სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია, რასაკვირველია, წინადაც იცნობდა. წინა კონფერენციებზედაც სწარმოებდა დიდი ბრძოლები მომენტის და მოქმედების შესახებ, მაგრამ ოპოზიციის მცირე ჯგუფი იმას მაინც აბერხებდა, რომ სისტემატიურად ხრიდა პარტიის გეზს სოციალისტურ რევოლიუციის მიმართულებით და ავლენდა მთავარ გამგეობას გამოეცხადებია თანამედროვე მომენტი, როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმში მიმავალი, გარდამავალი. გარდამავალი ეპოქის იდეოლოგია უდიდესი გამარჯვება იყო ოპოზიციის, ეს ნიშნავდა არსებითად კაპიტალიზმის უარყოფას და სოციალისტურ მუშაობის დაწყებას ყოველს დარგში.

ამ გეზით მიდიოდა მთლიანი სახის პარტია. დღეს ჩვენს წინაშე ქართველ ხალხის, როგორც ყველა სხვა ერებისათვის მეტად მნიშვნელოვანი მომენტია. სწორედ დღეს იყო საჭირო შეერთებულის ენერგიით საერთო სახალხო და ეროვნული საქმის სამსახური, სწორედ დღეს განსაკუთრებით საჭიროა დიდი პრაქტიკულ-ეროვნული შემოქმედება. მაგრამ სწორედ ამ კრიტიკულის მომენტში ჩვენი პარტიის ხელმძღვანელებში დაიკარგა მომენტის სწორად გაგების აზრი, აქ ველარ გამოჩნდა შეერთებულის ენერგიით „მხურვალე მოღვაწეობის სიმართლე და კონფერენცია, ხელოვნურად იხე გაამრავლეს წინასწარ მიზნის ვითომდა დელეგატებით, რომელთაც მონაწილეობა კონფერენციას საჩეს უკარგავდა.

ჩვენ არ შეგვიძლიან აქ სავსებით გადავშალოთ ის საოცარი და გაფეთრებული ბრძოლა ჩვენი „მემარცხენე“ ამხანაგებისა კონფერენციაზე, რომელიც ამ კრიტიკულს მომენტში საჭიროდ სთვლიდა გაათასკეცებულ ენერგიით მუშაობას. მტკიცე იყო ნებისყოფა „სოციალისტ ფედერალისტი“-ს ჯგუფისა, გარკვეული იყო სოციალისტურ რევოლიუციის ორიენტაცია, ეროვნულ პრობლემის რევოლიუციური მნიშვნელობა და მაშინ, როცა „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს ჯგუფის, ან როგორც უწოდებდნენ კიდევ „მემარცხენეების“ საბოლოო განცხადებამ, რომ დრ. კომიტეტი იტოვებს დამოუკიდებელ მოქმედების უფლებას, ხოლო კონფერენცია მიაჩნია უკანონოდ და მტკიცედ განაგრძობს თავის გეზს სოციალიზმის და ეროვნების სამსახურისთვის—ეს განცხადება სამგლოვიარო არშიად შემოერტყა ხალხით გაჭედილ საკონცერტო დარბაზს, საოცარი მგლოვიარობის გრძნობა დამკვიდრდა და ოპოზიციის წარმომადგენელიც ასევე ღინჯად, მტკიცეთ სტოვებს დარბაზს, რომელსაც გაჰყვა სამოცამდე დელეგატი და მრავალი დამსწრე.

ამით დასრულდა კონფერენცია. 10 ივნისს მოხდება პირველი სხდომა ოპოზიციის დელეგატებისა პარტიის მთავარს ბიუროში. შემუშავებული იქმნება დირექტივები, მუშაობის გეგმა, სახე ჩვენი შემოქმედებისა და მიღებულ იქმნება ზომები, რათა სოციალისტ ფედერალისტთა პარტიაში ტრადიციულ მუშაობის და დისციპლინის ნიადაგზე აღსდგეს სოციალისტური და ეროვნული მუშაობის ძალა, ქართველი ხალხის საკეთილდღეოდ. დაწვრილებით ხვალ.

## ფურცლები

38.

**მომენტი და ნაციონალური პრობლემა.**

საქართველოს საკითხი სწყდება არა მხოლოდ ქართველ ხალხის ნებისყოფის თვალსაზრისით, არამედ საქართველოს სურვილების წინააღმდეგაც. ჩვენ შეიძლება ბევრი მაკსვინეები გვყავდეს, კიდევ მრავალი გარიბალდები, თავზე ხელაღებული ორსინები ან კავუსის ტიპის სახელმწიფო მოღვაწენი, მაგრამ ისტორიული პროცესის ანალიზი უმთავრესი საქმეა ეროვნულს შემოქმედებაში, რათა ისტორიულ პროცესში ეროვნული ენერგია დაიკუმშოს შესაძლებელს მომენტში მიზნის მაქსიმუმის მისაღებად.

რას წარმოადგენს ეს მომენტი? რას შეიცავს ისტორიული პროცესი? რა ობიექტიური მდგომარეობა იქმნება?

თანამედროვე მომენტი სამი ელემენტისაგან შესდგება. პირველია ნაციონალური პრობლემა, მეორეა ევროპიული კაპიტალიზმის ბედი, მესამეა საერთაშორისო მოძრაობის ძალა, მისი მიზანი. ერთსა და იმავე დროს, სხვა და სხვა ვარიაციებში მოქმედობს ჩვენი დღევანდელი ისტორიის ეს სამი მამოძრავებელი ფაქტორი და იგი გვიქმნის იმ მოვლენას, რომელსაც ჩვენ უწოდებთ ისტორიულს პროცესს.

ცალ-ცალკე უნდა განვიხილოთ ეს ფაქტორები. სახე მივსცეთ მათ, გავარკვიოთ მიმართულება და ის სწორი ხაზი რომელსაც ჩვენ მივყევართ თავისუფლებისაკენ.

ნაციონალურ საკითხს თავისი ისტორია აქვს. ლიტერატურული, კამპანია ეროვნული საკითხისა ევროპიულის მნიშვნელობით ახალია, თვით ნაციონალური ჩაგვრა კი—ძველის ძველი.

ევროპიული კაპიტალიზმი აღიზარდა და გაიფურჩქნა არა მარტო კლასობრივ ბრძოლის პროცესში, არამედ ეროვნულს ბრძოლაშიც. ჩვენ სავსებით ვითვალისწინებთ საოცარსა და თავგამოდებითი ბრძოლას ირლანდიელთა „მწვანე კუნძული“-ს დამოუკიდებლობისათვის, ბულგართა და სერბელთა სისტემატიურ ბრძოლას ოსმალეთის ფაშებთან, ვიცით ალბანთა ბედი, მთაშავეთის პრობლემა მთელი 50 წლის განმავლობაში იტალიის რესპუბლიკები გმწეოდენ სასტიკს ომს ავსტრიის წინააღმდეგ და უბრალო ხსენება „ავსტრიაკი“-სა ზიზღს იწვევდა ყოველს რომაელში. ვიცით რამდენი ბრძოლა დასჭირდა ბელგიელთ ჰოლანდიის წინააღმდეგ, ვიცით ტრაღიზმით სავსე ისტორია პოლონეთისა, კიდევ კარგად ვიცით უბედური ქვეყნის—სომხეთის და ჩვენი სამშობლოის—საქართველოის მდგომარეობა, მაგრამ, უნდა ითქვას, ევროპაში ნაციონალური ბრძოლა საერთოდ უფრო მკრთალად მიმდინარეობდა ვიდრე კლასობრივი რევოლიუციონური.

ბუმბერაზი, მრისხანე და ვაება იყო საფრანგეთის რევოლიუცია 1789 წ. ამ წერილის თავში ჩვენ ერთი იტალიელი ტერორისტი დავასახელეთ—ორსინი, რა შედარებაა იმ სისხლის ტბასა და მქუხარე რადიკალურს ენერგიასთან, რომელსაც იჩენდნენ რევოლიუციის ისეთი ბაირაღტარნი, როგორიც იყვნენ რობესპიერი, მარატი, დანტონი და ნათესავი მირაბოები.

რაშია საქმე? რად იყო ეროვნული მოძრაობა ევროპაში შედარებით სუსტი სოციალისტურს მოძრაობასთან?

ლიტერატურას თუ გადავავლებთ თვალს, როგორც გარეგნობას, გამომხატველს ეროვნული და კლასობრივი ბრძოლის ექსპრესიას, ჩვენ მართლა დავინახავთ, რომ ისეთი ბუმბერაზები, როგორიც იყვნენ ფურიე, ოუენი, სენსიმონი, ანფანტენი, პრუდონი, ბაკუნინი, მარქსი და სხვანი გაცილებით ნაკლებად ფიქრობდენ ნაციონალურს პრობლემაზე, ვინდრე სოციალისტურზე. ამიტომ: სოციალისტური ლიტერატურაც იმდენად მდიდარია, რამდენადაც ღარიბია ნაციონალური პრობლემის მწერლობა.

რასაკვირველია, ევროპის სახელმწიფოებში მეცხრამეტე საუკუნეში დიდი იყო ტანჯვა ეროვნული. მხოლოდ ერთი სახელმწიფოა ევროპაში, რომელიც მე-19 საუკ. განმავლობაში არ ყოფილა დაჩაგრული, იყო მხოლოდ მჩაგვრელი. ეს სახელმწიფოა—ინგლისი. სხვა სახელმწიფოებმა ყველამ განიცადა საოცარი ჩაგვრა ეროვნული ხასიათისა. მგოსანმა გომფანმა გერმანელებს ეროვნული მარსელიეზა შეუქმნა: „Deutschland, deutschland über alles, Ueber alles in der Welt“—აი ასეთ ნაციონალისტურად განწყობილი გერმანია აწვალებდა და ჩაგრავდა პოლონელებს, იბრძოდა რეინისათვის, ჰოლშტეინისათვის, საქსონიისათვის, ბელგიისათვის, ერთს მშვენიერ წარსულში იგი სულს დაფავდა საფრანგეთის მძიმე უღლის ქვეშ. ქალბატონი ავსტრია, ერთს დროს ჯალათი არა მარტო იტალიის რესპუბლიკებისა, არამედ თითქმის მთელი ევროპის შიშის ზარი, ეხლა იგი განიცდის ეროვნული უბედურების დღეს. არ არის ევროპაში არც ერთი დიდი და პატარა ერი—სახელმწიფო, რომელიც არ ქმნიდა ან არ განიცდიდა ეროვნულ ჩაგვრას. მიუხედავად ამისა მე-19 საუკუნე არის ევროპაში ნაციონალურ სახელმწიფოების კონსოლიდაციის საუკუნე: მე-19 საუკუნეში ერები ჩამოიქნენ ეროვნულ სახელმწიფოების ფორმაში. ყველა ეთნიური ძალა ევროპაში დღეს სახელმწიფოებრივის სამოსელით არის შემკული. ასე თუ ისე ეროვნულს ფაქტს ეროვნული სახე აქვს მიღებული, ეროვნული შინაარსი ჩამოსხმულია, საერთოდ დამთავრებულია ეროვნულ სახელმწიფოების ფორმაცია ევროპაში.

რამ დააჩქარა ეროვნულ სახელმწიფოების კონსოლიდაცია ევროპაში? ეს ფორმაცია დაჩქარდა არა ევროპის ერების დიდი ექსპლოატაციით, ევროპის სახელმწიფოების თვით ევროპის შიგნით საგარეო ბრძოლებით, არამედ საშინაო ბრძოლების შენელებით. მეცხრამეტე საუკუნე ხანაა, როცა მთელი ევროპა იყოფს და ინაწილებს მსოფლიოს, აი ეს იმპერიალისტური პროცესი ხელს უწყობდა ნაციონალურ სახელმწიფოების ჩამოქნას ევროპაში და ამათ შორის ბრძოლების შესუსტებას. აქედან წარმოსდგა ის, რომ ევროპიელთა ომები თან და თან შორდება თვითონ ევროპას, ხან ის ბალკანეთს ედება, ხან კიდევ ყირიმს, უფრო ხშირად კი შორეულს აღმოსავლეთს, სადაც მრავალი ომი სწარმოებდა გასულს საუკუნეში რუსების, ინგლისელების, იაპონელების ამერიკელების და ფრანგების მონაწილეობით.

მდგომარეობა იცვლება ამ ჟამად, ევროპის ცხოვრება გართულდა უკვე. რთულდება თან და თან. მსოფლიოს ომმა და სხვა მოვლენებმა საფუძვლიანად შეცვალეს მდგომარეობა. ის, რაც ანელებდა ევროპის სახელმწიფოთა შორის ნაციონალურ ომების შესაძლოებას, ის ძალა ისპობა, დაჩაგრული ერები აღსდგებიან მსოფლიოს ომების პროცესში და თავს დააღწევენ ევროპის ექსპლოატაციას. ჩემბერლენები და კერზონები იძულებული ხდებიან მონროე მოიგონონ და თავიანთ სამშობლოს წიაღში ეძიონ თავიანთ მომავალი. კოლონიალური განწყობილების დამსხვრევა ამსხვრევს ევროპის მშვიდობიანობას და ამგვარად ეროვნული თავისუფლების იდეა არა მარტო აზიის და სხვა ქვეყნის უბედურ ხალხთათვის ხდება იდეა რევოლიუციონური, არამედ ეროვნული იდეა ანავლებს დღეს მთელს ევროპას და იგი იდეა უმაღლესად რევოლიუციონურია; ევროპისათვის უეჭველად აშკარაა: ევროპის ბედს, ევროპის რევოლიუციას ბადებს და სჭრის არა კლასობრივი მომენტი, არა მხოლოდ სოციალური შემეცნება, არამედ ეროვნული მომენტი, ერების თავისუფლება. განთავისუფლებული ეროვნული სახელმწიფოები—აი უმთავრესი ღერძი ევროპის რევოლიუციისა და ეს რევოლიუციური მოტივი, როგორც ერთი უმთავრესი ძალა მომენტისა ჩვენთვის არის ნიადაგი პრაქტიკული შემოქმედებისა, არის მიზანი ჩვენი აზროვნებისა.

რევოლიუციას თუ ასულდგმულებს და აზრდოებს ეროვნული პრობლემა, რა როლს თამაშობს ამ დიდს პროცესში წმინდა ეკონომიური ფაქტორი?

თედო ღლონტი.

## დეკრეტი

მასწავლებელთა და მოწაფეთა სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლების შესახებ.

1921 წ. აპრილის 29-ს დეკრეტი № 31-ს მუხლი 4-ს დამატებათ, საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა.

1. სახელმწიფოს ყველა სასწავლებლების მასწავლებელნი თავისუფალი არიან სამხედრო ბეგარისაგან.

2. სახელმწიფოს ყველა საშუალო და დაბალი სასწავლებლების მოწაფენი, სათანადო მოწმობების წარდგენის შემდეგ, დროებით განთავისუფლებულ იქნებიან, რომ მათ სასწავლებლების კურსი დაამთავრონ, ვიდრე 21 წლისა გახდებიან.

3. უმაღლესი სასწავლებლის მოსწავლენი, რომელნიც ლექციებს ნამდვილად ისმენენ და სათანადო მოწმობები აქვთ დროებით განთავისუფლებულ იქნებიან, რომ მათ სასწავლებლის კურსი დაამთავრონ, ვიდრე 26 წლისა გახდებიან.

4. მეორე და მესამე მუხლში აღნიშნული წლოვანების შესრულების შემდეგ, მოწაფენი ვალდებული არიან გამოცხადდენ სათანადო სამხედრო კომისარიატებში სამსახურში ჩასარიცხავათ.

**შენიშვნა:** უკეთუ მოწაფენი მეორე და მესამე მუხლებში აღნიშნული წლოვანებისა შეიქნენ და მორიგი გაწვევა ჯარში კი არ გამოცხადებულა, მათ შეღავათება მიეცემათ უახლოეს ჯარში გაწვევის პირველ დღემდე.

5. მოწაფენი რომელნიც ჯარში იქნენ დატოვებული სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრის 1921-წლ. მარტის 21-ს № 2 ა-ს ბრძანების თანახმად სამსახურში რჩებიან, ვიდრე უახლოესი

ჯარში გაწვევა მოხდება, რომლის შემდეგაც ისინი დათხოვნილ უნდა იქნენ ამ დეკრეტში ნაჩვენები წესის მიხედვით.

6. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან გამოქვეყნებისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

ფ. მახარაძე

სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარი შ. ელიავა.

რევკომის მდივანი შ. გაბრიჩიძე.

1921 წ. ივნისის 6.

ტფილისი-სასახლე.

# გრიშაშვილის საღამო

კვლავ სიცოცხლე, ქართველთა შეკავშირება, საყვარელ მგოსნის პატივისცემა. გრიშაშვილის საღამო—ზღვა ხალხი, ოვაციები, ვარდები. შინაარსი როგორც ყოველთვის. მოხსენება, ცეკვა, სიმღერა, მუსიკა, ლექსები—აი ყოველივე, რითაც ატკბობს ხალხს გრიშაშვილი და მისი საღამო.

ეს პირველი საღამოა ამ ხანაში, როდესაც საქართველომ კვლავ თეატრში მოიყარა თავი, ამ საღამოში ხედავს ხალხი ყოველივე მთლიანობას.

მართლაც, შალვა ნუცუბიძის მიერ მგზნებარე გულით და აღფრთოვანებული სიტყვით გაკეთებული მოხსენება, მორდკინის მშვენიერი ცეკვათა ხაზები, რომელთა შორის „სამშობლო" სემიონოვის ასულის შესრულებაში ჟრუანტელს გვრიდა მსმენელ-მაყურებელს, ინაშვილის და სარაჯიშვილის ნაზი—ტკბილი ჰანგები და აგრეთვე მქუხარე სიმღერა პირველად გამოსულ მომღერალ სიხარულიძისა, მაჟერზაშვილის ასულის მუსიკა, ოჰაეზაშვილის პიანური—ეს ყოველივე ამუსიკლებდა, ამშვენებდა ერთის მხრივ საღამოს მხატვრულ მხარეს.

მეორეს მხრივ კი ლექსთა თქმა ნიჭიერ მსახიობ ჰიდურელის შესრულებაში მუსიკის თანხლებით და ბოლოს თვით გრიშაშვილი თავის ლამაზ ლექსთა ნაზი თქმით.

მშვენიერი საღამო, რომელმაც ერთგვარი სიმშვიდე დასტოვა ხალხის გულში.

ხიხო.

# ახალი ამბავი

— სახურსათო სახალხო კომისარიატის განმანაწილებელ სამმართველოს ესაჭიროება გამოცდილი საქმის მწარმოებელი. ქართული ენის ცოდნა აუცილებელია. თხოვნები სარეკომენდაციო ბარათებით მიიღება სამმართველოს კანცელარიაში. ყოფილი კადეტთა-კორპუსი ქვედა სართული.

— კვირას, 12 ივნისს, დღის 12 საათზე, სრულიად საქართველოს მასწავლებელთა კავშირის სახლში (ყოფილი ქართული კლუბის შენობა, დამფუძნებელი კრებას ქ. № 5) დანიშნულია წ. კ. გ. საზ. ტფილისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრების გაგრძელება რწმუნებულების ასარჩევად.

— ვანო სარაჯიშვილის საღამო. 14 ივნისს სახელმწიფო საოპერო თეატრში გაიმართება ვანო სარაჯიშვილის საღამო. წარმოდგენილი იქნება ოპერა „პალიაჩი" ერეკლეს პარტიას შეასრულებს სარაჯიშვილი, მონაწილეობას მიიღებს: ალეშკო, ბოიარსკაია, ელიოზიშვილი, საბინინი და სხვები, დირიჟორობს ლოტბარი სტოლერმანი. 15 წელიწადი შესრულდა, რაც ვანო სარაჯიშვილი საოპერო სცენას ემსახურება. წარმოდგენა უფასოა, ბილეთები იქნება განაწილებული წითელ ლაშქარს და პროფესიონალურ კავშირებს შორის, ჩვეულებრივის წესით.

— გალაკტიონ ტაბიძის საღამო. ხვალ (კვირას, ივნისის 12) სახელმწიფო დრამის თეატრში შესდგება გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის საღამო. საღამოში სხვა და სხვა სახით მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადა მრავალმა რიცხვმა ხელოვნების წარმომადგენლებისამ. მოხსენებას („გალაკტიონ ტაბიძის პოეზია") გააკეთებს ალ. წერეთელი. ახალი ლექსებით, ნოველებით და სიტყვებით გამოვლენ ტფილისში მყოფი თითქმის ყველა ქართველი მწერლები. პოეტის ლექსებს წაიკითხავენ მსახიობები სახელმწიფო დრამის თეატრისა. წაკითხულ იქნება ლექსები I, II და III წიგნიდან, (მერი, მთაწმინდის მთვარე, ლურჯა ცხენები, მე და ღამე. ვლ. ალექსი-მესხიშვილის ხსოვნას, რევოლიუცია, პოეტების მეფედ გამოცხადების გამო და სხვ.), წაიკითხავს ლექსებს თვითონ პოეტი მე-2 და მე-3 წიგნიდან. მონაწილეობენ აგრეთვე მომღერლები სახელმწიფო ოპერის თეატრიდან, იქნება პიანინო, სკრიპკა. დადგმულ იქნება ცოცხალ სურათად რამდენიმე ლექსი გალაკტიონ ტაბიძისა. ამ დღეს უფასოდ დარიგდება ეგზემპლიარები პოეტის უკანასკნელი წიგნისა— „Crâine aux fleurs". ადგილების ფასი ამ საღამოზე დაკლებულია და დიდი ნაწილი ბილეთებისა გადადებულია უფასოდ დასარიგებლად (მსურველებს ბილეთები შეუძლიათ მოითხოვონ სახ. თეატრის კასაში) დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

— სასწავლებელში სია ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების ჭრა-კერვის სკოლის იმ მოწაფეთა, რომლებიც დაშვებულ იქნენ გამოცდაზე მაისის 25-ს 1921 წ. და რომელთაც მიიღეს სიმწიფის მოწმობა და სახელწოდება ოსტატისა. ადამაშვილი ეკატერინე, ამირამაშვილი მარიამი, ბადრიძე მარიამი, მერიძე, გედევანიშვილი პელაგია, გაჩინაშვილი ნინო, გილაშვილი მარიამი, გრიგოლია მარიამი, დუმბაძე თამარ, ედიაშვილი ნატალია, მასიკაშვილი მარიამი, მაისაშვილი ალექსანდრა, მათეშვილი მარიამი, მელიქიშვილი ნინო, მრევლიშვილი სოფიო, სვანიძე ვალენტინა, ჩოხური ნინო, ხატიაშვილი მარიამ ვილი, ყაგრიშვილი ელენე, ციციშვილი თამარი, ფიცხელაური ანნა, ფიცხელაური თამარი, ფრუიძე ეკატერინე, სირაძე თამარი, ეპიტაშვილი მარიამი, ბოლქვაძე ნინო.

— სტუდენტთა კავშირის გამგეობის არა ჩვეულებრივი სხდომა დანიშნულია 11 ამა თვეს სტ. სასადილოში საღამოს 6 საათზე. წევრების დასწრება აუცილებელია.

— საბავშვო დღესასწაულები. კვირას ივნისის 5 გაიმართა მეორე საბავშვო დღესასწაული ხელოვნების მუშაკთა ბავშვთათვის, რომლებიც იმყოფებიან ახლო აღმოსავლეთში დამხმარე ამერიკულ კომიტეტის გიორგის სახელობის სასადილოს მზრუნველობის ქვეშ. დღესასწაულზე შეიკრიბა 800 ორივე სქესის ბავშვი 5-10 წლისა. მწყობრი რიგებით, პლაკატებით და მუსიკით გაემართნენ ტფილისის საზაფხულო საკრებულო ბაღში, სადაც ჯგუფ-ჯგუფათ დაიწყეს თამაშობა. შემდეგ გაიმართა კონცერტის განყოფილება, რომელშიაც უმთავრესად მონაწილეობდნენ თვით ბავშვები. ბავშვებს მისცეს თითო ჭიქა კაკაო და ბუტერბროდი. თამაშობას და კონცერტს ხელმძღვანელობდა საბავშვო დღესასწაულთა მომწყობი ს. ვ. წერეთელი, სახელმწიფო ოპერის მსახიობები და სხვა.

იმავე დღეს საღამოს არტისტიულ საზოგადოების სარკიან დარბაზში გაიმართა საბავშვო საღამო ბავშვთათვის, რომლებიც იმყოფებიან იმავე ამერიკული კომიტეტის მზრუნველობის ქვეშ და რომელთაც სადილს აძლევენ სასადილოში განოვის ქუჩაზე. საკონცერტო განყოფილებაში ბავშვები აღტაცებაში მოიყვანა ბავშვების ბალეტმა. ბავშვებს მისცეს საჭმელი.

— ს. ს. ს. რ. საზომ-საწონთა პალატა კვლავ აცნობებს ყველა დაწესებულების მწარმოებათ და კერძოთ პირთ, რომელთაც აქვთ რაიმე საზომი, საწონი და სხვა ამგვარი მოწყობილობა, რომ თუ ამ საზომ-საწონთ არა აქვთ შემოწმების სათანადო ნიშანი ან ნიშანი 1920 წელზე ადრე მიღებული აუცილებელია მათი პალატაში წარმოდგენა შესამოწმებლად და ამ ნიშნის მისაღებათ.

უეცარ რევიზიის დროს აღმოჩენილ უნიშნო ან ვადა გასულ (1920 წლამდე) ნიშნებიან საზომ საწონთა პატრონები ან პასუხის მგებელი მომუშავენი გადაეცემიან სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალის სამართალს.

პალატის უფროსი ა. გოცირიძე.

უფროსი გამშინჯველი ს. ხმიანოვი.

# რადიო

**უკრაინა და პოლონეთი.**

ხარკოვი. უკრაინის კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. რაკოვსკიმ ცალკე ნოტაში აცნობა პოლონეთის მთავრობას რომ უკრაინის სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია იყოლიოს თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენელი ელჩი ვარშავაში და სურს რომ პოლონეთმაც თავის მხრივ დანიშნოს თავისი წარმომადგენელი ხარკოვში. უკრაინის მთავრობა თავის წარმომადგენლად ვარშავაში ჰნიშნავს რიგის საზავო კონფერენციის ყოფილ წევრს შუმსკის.

**ანატოლიის ნავთსადგურები დაიხურა.**

ნაუენი. ოსმალეთის ნაციონალისტებმა ანატოლიის ნავთსადგურები კომერციულ ურთიერთობისათვის დახურეს. სანაპირო ბატარეამ ბრძანება მიიღო ინგლისის გემებს ესროლონ თუ ისინი მათ ნება დაურთველად შევლენ ნავთსადგურში.

**დამოკიდებულება ქემალისტებთან.**

ნაუენი. გაზეთი „ბოსფორი" იუწყება, რომ ინგლისის და საფრანგეთის პრესის დამოკიდებულება ქემალისტებთან შესამჩნევათ გაუმჯობესდა.

**ანგორის საგარეო პოლიტიკა.**

სტამბოლი. გაზეთი „იდლერი" სწერს: ანგორის კაბინეტის შეცვლა არ შეცვლის საერთო გეზს საგარეო პოლიტიკაში და ოსმალეთის ხალხის მიდრეკილებას. ომის მიზანი და ანგორის საზავო მიზანი ისეთივეა, როგორც გუშინ იყო. ტყუილად ჰგონიათ ბერძნებს, რომ ოსმალები დაუთმობენ. მანდატი, რომელიც ოსმალეთის ხალხმა მისცა თავის წარმომადგენლებს, იგივე დარჩა.

**უკანვე მიღებას თხოულობენ.**

მოსკოვი. იტალიიდან მოსულ ცნობებით სერრატი დარაგონ ალექსანდრიო და ბაჩჩთან ერთად მემორანდუმს იმუშავებს, თხოულობენ იტალიის სოც. პარტიის მესამე ინტერნაციონალში უკანვე მიღებას.

**იმპერიალისტური ომის შემდეგ.**

ნაუენი. ოფიციალური ცნობებით გერმანიაში ამ ჟამად ცხოვრება 10,5 ჯერ ძვირია, ვიდრე, 1914 წ. დასაწყისში საფრანგეთის სტატიკური ცნობები გვიჩვენებენ, რომ საფრანგეთის მცხოვრებნი 3 მილ. შემცირდა, მიუხედავათ ელზას-ლოტარინგის საფრანგეთთან შეერთებისა.

**ინგლისი ახალი გაფიცვის წინაშე**

ნაუენი. გაფიცვები ინგლისის ბამბეულობის საქსოვ ფაბრიკებში აუცილებელია, ვინაიდან მწარმოებელთა და მუშათა შორის წარმოებულმა მოლაპარაკებამ ხელფასის შემცირების შესახებ დადებით შედეგს ვერ მიაღწია. ფიქრობენ, რომ 2 მილ. გაფიცული მაღაროში მომუშავეთ შეუერთდება საქსოვ ქარხნების 500,000 მუშა. ლოიდ-ჯორჯი 10 მილ. გირვანქა სტერლინგის მიუცემლობით იმუქრება, რომელიც მუშათა ჯამაგირის საკითხის მოსაწესრიგებლად იყო გადადებული, თუ გაფიცული მუშები 15 დღის განმავლობაში არ დაიწყებენ მუშაობას. გაფიცულთა აღმასრულებელი კომიტეტი მართავს სასწრაფო სხდომას მიმდინარე მომენტის გამო ზომების გამოსანახად.

**120,000 კომუნისტი.**

ბერლინი, მაისის 17. საფრანგეთის კომუნისტური პარტიის კონგრესზე ფროსარმა განაცხადა, რომ კომუნისტური პარტიაში საფრანგეთში არის დღეს 120,000 წევრზე მეტი.

**რუსეთის სასურსათო მდგომარეობა.**

მოსკოვი, მაისის 20. საბჭოთა რუსეთის სასურსათო მდგომარეობის შესახებ მოხსენებაში ამხ. ბრანდენბურსკიმ განმარტა, რომ სასურსათო მდგომარეობის გაუარესება ზაფხულის პირველი თვეებში გამოწვეულია ზამთარში სურსათის მიზანშეუწონლად ხარჯვით, დამზადებული რამდენიმე მილიონი ფუთის პურის განადგურებით, კონტრ-რევოლიუციონური მემამულეთა და თეთრ-გვარდიელთა აჯანყების დროს. პურის მარაგი საერთო რიცხვით 40.000,000 ფუთით გამოიხატება, მაგრამ ამ მარაგის უდიდესი ნაწილი იმყოფება ციმბირში, საიდანაც მისი გამოტანა ძნელია, ვინაიდან რკინის გზა ძლიერ დაზიანებულია იმ ადგილიდან, სადაც პურია დამზადებული. ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელი საშუალება მხოლოდ კოოპერაციაა, რომელსაც შეუძლია სოფელთან საქონლის გაცვლის საშუალებით გააუმჯობესოს მუშების ცუდი გამოკვება. ამ მიზნით საბჭოთა მთავრობამ გაიღო კოოპერაციისათვის ომამდე არსებული კურსის მიხედვით, რამდენიმე მილიონის ნაწარმოები.

# შრომის კომისარიატის ცირკულიარი № 18

**თანამშრომელთა სამსახურში მიღების წესის დაცვის შესახებ. სახალხო კომისრებს, შრომის განყოფილებათ და შრომის სარაიონო ინსპექტორებს.**

ა. წ. 23 მარტის, შრომის სახალხო კომისარიატის დადგენილების თანახმად აღრიცხვის განყოფილების მოწყობის და მუშა ძალის განაწილების შესახებ, თანამშრომელთა მიღება სამსახურში ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებასა და წარმოებაში, სწარმოებს მხოლოდ მუშა ძალის აღრიცხველ (აჩრაპსილაე) ორგანოს საშუალებით. პასუხისმგებელი და სპეციალისტების გარდა. რომლების მოწვევა შეუძლია სათანადო დაწესებულებებს და წარმოებას მუშათა ძალის აღმრიცხველ ორგანოს დაუკითხავად, მხოლოდ იმ აუცილებელი პირობით, რომ სამსახურში შესვლამდე გატარდენ მუშათა ძალის აღმრიცხველ განყოფილებაში და წარადგინონ დაწესებულებასა და წარმოებაში სათანადო სარეგისტრაციო მოწმობა.

აღნიშნული დადგენილების მიუხედავად, შრომის სახალხო კომისარიატში მოსული ცნობებით, ზოგიერთი დაწესებულება გვერდს უვლის სამსახურში მისაღებად დადგენილ წესებს და თავისუფალ ადგილზე თანამშრომელთა მიღებას ახდენენ უშუამავლოდ, სტოვებენ რა განზე აღრიცხვის ორგანოებს და სამუშაო ძალების განაწილების წესებს, რაც ერთი რომ არღვევს ყველასთვის სავალდებულო და შრომის დანაწილების ერთიან ერთ ნორმას. მეორე კი რეგისტრაციაში გატარებულ მუშაკთა შორის, რომლებიც უშედეგოდ უცდიან თავის რიგს, იწვევს სამართლიან საყვედურებს.

გაუწყებთ რა ამას, შრომის სახალხო კომისარიატი გთხოვთ, მოახდინოთ სასწრაფო განკარგულება თქვენდამი რწმუნებულ ცენტრალურ და ქვემდებარე დაწესებულებათა მიმართ იმის შესახებ, რომ ზევით დასახელებული დადგენილება შრომის სახალხო კომისარიატისა, სასტიკად იქნეს დაცული და დაუყონებლივ შეწყდეს მიღება სამსახურში, მუშა ძალის აღმრიცხველ სამართველოს დაუკითხავად და აზვევით და სარეგისტრაციო მოწმობის წარმოუდგენლად. შრომის სახალხო კომისარი დ. დუმბაძე. საქმეთა მმართველი მ. ბერძენიშვილი, მუშა ძალის აღმრიცხველ განყოფ. გამგეს დროებ. მოადგილე. ა. კურშელი.

# ფოთიდან ტფილისამდე.

შაბათს, 5 ივნისს ფოთიდან მოგზაურებმა დიდის გაჭირვებით და ჩხუბით მოვიპოვეთ ადგილები, კლასის ერთ განყოფილებაში, სადაც არის საჯდომი და საწოლი ადგილები მხოლოდ ცამეტი. იქ ვიყავით 30--40 კაცამდე. კიბეებზე, სახურავებზე და ორთქლმავალზე ხალხი ყვავილებივით ეხვია. ტფილისის ვაგონიდან არც ერთს სადგურზე არც ამოსვლა შეეძლო მგზავრს და არც ჩასვლა და მგზავრები [illegible] ალში ვიყავით [illegible] მატარებელი. მოვიდა მატარებელი. სადგურზე ხალხი ბუზებივით ირეოდა. ლიანდაგზე, სადაც უსაქმო ხალხს არ უნდა ჰქონდეს ნება გავლისა, გარდა რკინის გზის მოხელისა, ხალხი გაჭედილი იყო. მემანქანემ ხალხის გაუფრთხილებლად დასწია უკან ვაგონები, სადაც მოჰყვა ორი კაცი. მატარებელს ქვეშ, ერთს გულზე გადაუარა და იქვე მოკვდა, ხოლო მეორეს ხელი მოაცილა. ეს პირველი არაა, თითქმის ყოველდღე ჰხდება ასეთი მაგალითები, მაგრამ ყურადღებას არავინ აქცევს. მატარებელი სამტრედიიდან დაიძრა და სიბნელეც ჩამოვარდა. კლასებში სინათლე არაა, ამხანაგი ამხანაგს ვერ არჩევს კონდუქტორი ეუბნება მგზავრებს: სინათლე არ გვექნება და ჯიბეებს მოუფრთხილდითო. გავიარეთ ორი-სამი სადგური დაიწყება ავაზაკების თარეში. არის ყვირილი: დაიჭირეთ არ გაუშვათ, მაგრამ ვის დაიჭერ, ვის მოკიდებ ხელს, როდესაც არავის ხედავ ამ სიბნელეში. გაივლის ხანი,—კიდევ უბედურება, კიდევ ყვირილი გამქურდეს, მიშველეთ. არის ყვირილი, მართალს და მტყუანს ვინ გაარჩევს? კიდევ მეორდება ასეთი შემთხვევა. გათენების ხანს ირკვევა, თუ ვის რა დაემართა. ერთისთვის ხელი ჩაუყვია უბეში, მაგრამ მგზავრის გამოღვიძებით ვერ მოუსწრია ამოღება; მეორეს ერთი ფუთი სიმინდი დაჰკარგვია, რომლის საშოვრად ერთი კვირაა ოჯახიდან გასულა; მესამეს, ჩემი ამხანაგისთვის ამოუცლიათ ჯიბიდან სამოცდაერთი ათასი მანეთი და სხვა საბუთები. ამნაირად თავდება ჩვენი მგზავრობა, და არა მარტო ჩვენი, თითქმის ყველის. საჭიროა ასეთ უმსგავსო მოვლენას მიექცეს ყურადღება ვისგანაც ჯერ არს. თორემ მგზავრობა უფრო უარეს შედეგს მოგვიტანს.

გ. ონტოფელი.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი ცრ. მთავარი კომიტეტისა.

**დაკარგე** სტუდენტების კოოპერატივის წიგნაკი სტუდენტ ევდო ბარნაბიშვილის სახელზე, რაც უნდა გაუქმდეს. 37

**დაკარგე** მეტრიკული მოწმობა გიგო ალექსისძე თათანოვის სახელზე მიცემული სოფ. ახალ ქალაქიდან (გორის მაზრა) სამხედრო აღრიცხვის შემოწმებით. გაუქმებულად ჩაითვალოს. 37

**დაკარგულია** იოსებ იონატანოვიჩ ივაზაშვილის 6 თვის პასპორტი ქალაქ ტფილისში. 1126

**დაკარგე** პირადობის მოწმობა მოცემული სენაკის ქალაქის მილიციის უფროსიდან № 371. ვასილ იოსების-ძე აბაშიძე[illegible]ლის სახელობაზედ რაც გაუქმებულად ჩაითვალოს. 1122

**დაკარგე** პირადობის მოწმობა, ნიკოლოზ გრიგოლისძე ჩიქოვანის სახელზე სახელმწიფო უნივერსიტეტის მოცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1126

**დაკარგე** პირ-დობის მოწმობა ძიძელა ნიკოლოზის ძე შენგელიას სახელზე სახელმწიფო უნივერსიტეტიდან მოცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1125

უოფ. გიმნაზიის დამაარსებელი და გამგე მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე
**ამზადებს**
საზაფხულო განმეორებითი გამოცდებზე:
მათემატიკაში, ფიზიკაში, გერმანულ და რუსულ ენებში. საშუალო სასწავლებელში და საერთო განათლების კურსებზე შესასვლელად. მასწავლებლობის, აფთიაქის შეგირდის და 4, 5, 6, 7 კლასის მოწმობაზე.
მისამართი: პლეხანოვის ქ. 25. (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან № 5) ნახვა 3—6 ს. 1081